ოქმი #19

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ქ. ცაგერი 21 დეკემბერი, 2023 წელი

საკრებულოს სხდომას ხელმძღვანელობდა საკრებულოს თავმჯდომარე: ჭაბუკი ჭაბუკიანი
სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: რეზო ხეცურიანი
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები: გ. გუგავა, მ. კოპალიანი
საკრებულოს წევრები: კ. მუშკუდიანი, თ. ჭაბუკიანი, ზ. ყურაშვილი, მ. ხაბულიანი, მ. ყურაშვილი, ო. ჩაკვეტაძე, ნ. საღინაძე, მ. მამარდაშვილი, გ. გოგებაშვილი, ე. საღინაძე, დ. მუშკუდიანი, მ. ახვლედიანი, თ. ნემსწვერიძე, ნ. ბურჯალიანი, გ. გურგუჩიანი, გ. ახვლედიანი, ა. მახარობლიძე.

სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე (ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში ამბროლაურის, ლენტეხის, ონის, ცაგერის მუნიციპალიტეტებში): ა. თუთისანი
ცაგერის მუნიციპალიტეტის მერი: ლ. ზალკალიანი
ცაგერის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეები: დ. ხიმშიაშვილი, რ. ახვლედიანი
მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი: მ. ლეთოდიანი
მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი: გ. ხმელიძე
მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი: ს. გვიშიანი
მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის მოადგილე: მ. ქომეთიანი
მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიულ საკითხთა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი: ი. ბურჯალიანი

საკრებულოს აპარატის უფროსის ფუნქციების შემსრულებელი: მ. თოდიძე
საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი: ნ. მეგრელი

დღის წესრიგი

დადგენილებები:

1. „ცაგერის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 დეკემბერის №38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/ლ. ზალკალიანი, მ. ლეთოდიანი/

2. ცაგერის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.

/ლ. ზალკალიანი, მ. ლეთოდიანი/

3. ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 17 ივლისის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/ჭ. ჭაბუკიანი/

4. ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 1 თებერვლის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/ჭ. ჭაბუკიანი, კ. მუშკუდიანი/

5. ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხის და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 02 აგვისტოს №27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/ჭ. ჭაბუკიანი, კ. მუშკუდიანი/

6. „ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხის და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის დამტკიცების შესახებ'' ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 მარტის №28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/ლ. ზალკალიანი, ზ. ხეცურიანი/

7. ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 ნოემბრის №40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/ლ. ზალკალიანი, ზ. ხეცურიანი/

8. ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-სამხედრო აღრიცხვის, მობილიზაციისა და გაწვევის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“,ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 მარტის №35 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.

/ლ. ზალკალიანი, ზ. ხეცურიანი/

განკარგულებები:

1. ცაგერის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ.

/ლ. ზალკალიანი, მ. ლეთოდიანი/

2. ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვების შეთანხმებისა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ.

/ლ. ზალკალიანი, ზ. ხეცურიანი/

3. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ცაგერის მუნიციპალიტეტში 2024-2025 წლებში დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ.

/ლ. ზალკალიანი, თ. ბენდელიანი/

4. ცაგერის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით ქ. ცაგერის და სოფელ ქვედა ცაგერის მოსახლეობის წყლის გადასახადის სუბსიდირების შესახებ.

/ლ. ზალკალიანი, თ. ბენდელიანი/

5. ცაგერის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით მუნიციპალური ტრანსპორტის ხელშეწყობის მუხლიდან სუბსიდიის გაცემის შესახებ.

/ლ. ზალკალიანი, თ. მეშველიანი/

6. ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაშ არსებული ქონების - ქ. ცაგერის რუსთაველის ქ. №65-ში მდებარე სამსართულიანი შენობის პირველ სართულზე არსებული 30.00 კვ.მ ფართის პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით (უსასყიდლო უზუფრუქტით) არსებობის ვადით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ,,რაგბის კლუბი ამარანტები" გადაცემის შესახებ ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

/ლ. ზალკალიანი, გ. ხმელიძე/

7. ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის ,,ლეჩხუმი მომავლისათვის" შექმნის ცნობად მიღების შესახებ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 03 დეკემბრის №81 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/ჭ. ჭაბუკიანი, თ. ჭაბუკიანი/

გადაწყდა, რომ სხდომაზე დღის წესრიგით წარმოდგენილ საკითხებზე კენჭისყრა მოეწყოს ღიად:

/საკრებულოს სხდომას ესწრებოდა 21 დეპუტატი/

დადგენილებები:

1. „ცაგერის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 დეკემბერის №38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/ლ. ზალკალიანი, მ. ლეთოდიანი/

მომხსენებელმა - მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მამუკა ლეთოდიანის განმარტებით ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მეთერთმეტე ცვლილება გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ საჭიროა ბიუჯეტით ა(ა)იპ-თვის დამტკიცებული ასიგნებები გადანაწილდეს სხვადასხვა პრიორიტეტებისა და პროგრამების მიხედვით. მიმდინარე ეტაპზე დამატებით ფინანსური უზრუნველყოფა ესაჭიროება:

- ა(ა)იპ „კომუნალური მეურნეობა" მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტში წარმოდგენილია ორი პროგრამის სახით: „გარე განათების მოვლა-შენახვა და ექსპლუატაცია, დაგეგმილი ფინანსებით ხდება ამ პროგრამების განხორციელება. მიმდინარე ეტაპზე „კომუნალურ მომსახურებას" დასუფთავების და ნარჩენების გატანის პროგრამაში აქვს თავისუფალი რესურსი, რომელიც შეიძლება გადატანილი იქნას ამავე ა(ა)იპ-ის მეორე პროგრამაში „გარე განათების ექსპლუატაცია" , რაც თანხობრივად 7500 (შვიდიათასხუთასი) ლარს შეადგენს.
- ა(ა)იპ „ბავშვთა და ქალთა უფლებების დაცვის და გენდერული თანასწორობის ცენტრ"-მა მერიაში წარმოადგინა წერილობითი მოთხოვნა სუბსიდიის გაზრდასთან დაკავშირებით, რაც ითვალისწინებს ა(ა)იპ „ისტორიული მუზეუმიდან" თანამშრომელთა გარკეული ნაწილის გადაყვანას ზემოთ მითითებულ ა(ა)იპ-ში(ფუნქციებიდან გამომდინარე). რისთვისაც საჭიროა 3060 (სამიათასსამოცი) ლარი.

- ბიუჯეტით დამტკიცებულ პროგრამაში რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა ტაძრების ელექტრო ენერგიის უზრუნველყოფის ქვეპროგრამაში ფაქტიური მდგომარეობიდან გამომდინარე საჭიროა გაიზარდოს 1620 (ერთიათასოცი) ლარით.

„საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის მე-17 მუხლის შესაბამისად ცაგერის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია მიზნობრივი ტრანსფერი 250.0 ათ.ლარი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად. ამ უფლებამოსილებებს განეკუთვნება „საზოგადოებრივი ჯანდაცვის შესახებ“, "სამხედრო ვალდებულებების და სამხედრო აღრიცხვის შესახებ“, „ბავშვთა უფლებათა კოდექსით“ და საქართველოს სხვა კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა დაფინანსება. ბიუჯეტიდან ამჟამად ფინანსდება ა(ა)იპ „ცაგერის საზოგადოებრივი ჯანდაცის ცენტრი“ და მერიის „სამხედრო აღრიცხვის და გაწვევის სამსახური“. ფინანსური უზრუნველყოფისათვის გაუნაწილებელი მიზნობრივი ტრანსფერიდან სუბსიდიის სახით ა(ა)იპ ბავშვთა და ქალთა უფლებების დაცვის და გენდერული თანასწორობის ცენტრს“ საჭიროა გამოეყოს 3500ლარი. ამასთან ერთად ა(ა)იპ „ ცაგერის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრმა“ და მოითხოვა სუბსიდიაზე თანხის დამატება 3500 ლარის ოდენობით სპეციფიკიდან გამომდინარე დამატებითი ხარჯების დაფინანსებისათვის, რომელიც უნდა მიეცეს სუბსიდიის სახით მიზნობრივი ტრანსფერიდან. (ახალი ოფისის მოწყობისათვის).

- ბიუჯეტის ცვლილება უკავშირდება ასევე პირველ პრიორიტეტს „მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები“სადაც თანხების გადანაწილებასთან ერთად საჭიროა საკუთრივ მერიის თანხების გაზრდა. აღსანისნავია, რომ მერიის ხარჯებში აკუმულირებული იყო მიზნობრივი ტრანსფერი, რაც პერიოდულად გადაირიცხებოდა დანიშნულებისამებრ. წლის განმავლობაში ბიუჯეტში შეტანილი ცვლილებების დროს ხდებოდა მერიის თანხების გადანაწილება სხვადასხვა პრიორიტეტებსა და პროგრამებში საჭიროებიდან გამომდინარე. ამჟამად მიმდინარე წლის ბოლომდე მერიის ვალდებულებების ფინანსური უზრუნველყოფისათვის საჭიროა გაიზარდოს მერიის დაფინანსება.

აზრი გამოთქვეს: კ. მუშკუდიანმა, ო. ჩაკვეტაძემ, ჭ. ჭაბუკიანმა

აღნიშნული დადგენილების პროექტის განხილვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი:

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 21-მა დეპუტატმა

დადგენილება მიღებული იქნა (თან ერთვის)

მომხრე: 21

წინააღმდეგი: 0

2. ცაგერის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.

/ლ. ზალკალიანი, მ. ლეთოდიანი/

ცაგერის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შესახებ ისაუბრა მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა მამუკა ლეთოდიანმა, აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მერის მიერ „ცაგერის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტი“ და პრიორიტეტების დოკუმენტი თანდართულ მასალებთან ერთად მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საკრებულოს წარედგინა მ/წლის 15 ნოემბრამდე. ამავდროულად ბიუჯეტის პროექტის წარდგენის შემდგომ დამატებით გაანალიზდა და დაზუსტდა 2024 წლის ფინანსური რესურსების მოცულობები და მათი შესაძლო ზრდის წყაროები. ასევე პრიორიტეტების მიხედვით დაზუსტდა

ზოგიერთი პროგრამა და ქვეპროგრამა. მონაცემები საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად წარედგინა ფინანსთა სამინისტროს. მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მერიის წარმომადგენლებთან ერთად ფინანსთა სამინისტროში მოხდა განხილვა, როგორც მიმდინარე წლის ბიუჯეტის, ასევე 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის. განხილვის დროს გაოითქვა შენიშვნები და გაიცა რეკომენდაციები, როგორც შემოსულობების სახეობის, ასევე გადასახდელების მიხედვით ყველა პრიორიტეტის დონეზე.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროში 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის შედეგების გათვალისწინებით განხილული იქნა საკრებულოს მიერ მოცემული შენიშვნები და მომზადდა ბიუჯეტის პროექტის შესწორებული ვარიანტი.

საკრებულოს მიერ წარმოდგენილი შენიშვნები ეხება ბიუჯეტის გადასახდელების ნაწილს ანუ 2024 წლის გასაწევი ხარჯების მიმართულებებს, სადაც წარმოდგენილია წინადადებები, როგორც სოციალური და ეკონომიკური პროგრამების, ასევე სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსების გაზრდის თაობაზე. დაყენებული საკითხი მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანია და შესაბამისად დიდ ფინანსურ რესურს მოითხოვს, ამდენად შეზღუდული ფინანსური რესურსების გამო მათი ერთობლივად გათვალისწინება შეუძლებელია და იგი უნდა ჩამოყალიბდეს პრიორიტეტების მიხედვით საშუალოვადიან პერიოდზე გათვლილი პროგრამების და ქვეპროგრამების სახით.

მერიის მიერ მომზადდა მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის შესწორებული ვარიანტი. ამ ვარიანტით 2024 წლის ბიუჯეტის შემოსულობები გადანაწილებულია პრიორიტეტების მიხედვით. გაზრდილი თანხით ძირითადად გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ ა(ა)იპ-ებში შრომის ანაზღურების 10%-ნი ზრდა, ინფრასტრუქტურის რამოდენიმე მიმართულების (წყლის სისტემები, ტექზედამხედველობის და საპროექტო ხარჯები, სოფლის პროგრამის თანადაფინანსება, გარე განათება, დასუფთავება და ნარჩენების მართვა და სხვა) ზრდა. ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების საკითხთან დაკავშირებით მოგახსენებთ, რომ მიმდინარეობს კანონმდებლობის შესაბამისად ამხანაგობების ჩამოყალიბება. ასეთ შემთხვევაში შესაძლო თანადაფინანსება განხორციელდება კეთილმოწყობის ღონისძიებებიდან. რაც შეეხება ხიდ-ბოგირებს, მათი შეკეთების სამუშაოები ის გათვალისწინებულია საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამაშია და უახლოეს მომავალში წარმოდგენილი იქნება საკრებულოს დადგენილების პროექტი 2024 წელს დასაფინანსებელი სოციალური პროგრამების შესახებ, სადაც ყველა არსებული პროგრამა ძალაშია, ხოლო საოპერაციო და კვლევების ხარჯები გაიზრდება 4,0 ათ.ლარამდე. აქვე აღვნიშნავთ, რომ შენიშვნა იმასთან დაკავშირებით, რომ პრიორიტეტი „ჯანმრთელობა და სოციალური უზრუნველყოფა“ შემცირებულია მ/წელთან შედარებით, ძირითადად გამოწვეულია იმით, რომ 2023 წელს ამ პრიორიტეტში აისახა მევენახეობის ხელშეწყობის პროგრამის თანხები და როგორც წესი სარეზერვო ფონდიდან დაზარალებულ მოსახლეობაზე გაცემული თანხები. მევენახეობის პროგრამისათვის 2024 წელს საჭირო თანხის მოპოვებაზე დამატებით მიმდინარეობს მუშაობა.

ასევე აღნიშნა, რომ 2024 წლიდან „სამხედრო აღრიცხვის და გაწვევის სამსახურის“ უფლებამოსილება არ განეკუთვნება დელეგირებულ უფლებამოსილებას, რის გამოც მიზნობრივი ტრანსფერი შემცირდა 87,1 ათ.ლარით და შეადგინა 177,9 ათ.ლარი, რაც წარმოადგენილ პროექტში განაწილებულია შემდეგნაირად - ა(ა)იპ “საზოგადოებრივი ჯანდაცვა“ – 130,0 ათ.ლარი, „ბავშვთა უფლებათა კოდექსის“ და სხვა კანონებით გათვალისწინებული დელეგირებული უფლებამოსილებები 47,9ათ.ლარი.

ასევე მოგახსენებთ, რომ მ/წლის ბოლოს არსებული ნაშთები, არსებული წესით აისახება 2024 წლის ბიუჯეტში, ხოლო მისი გადანაწილება პრიორიტეტების და პროგრამების მიხედვით მოხდება არსებული საჭიროებიდან გამომდინარე.

მუნიციპალიტეტის მერია აგრძელებს მუშაობას 2024 წლის ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით, თქვენგან დასმული საკითხების შესაძლო გადაწყვეტის და პრიორიტეტების დოკუმენტის დაზუსტების მიზნით, რაზედაც საქართველოს ორგანული კანონის „ადგილბრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 91-ე მუხლის მე-6 პუნქტის და საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 78-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი იქნება ყველა საჭირო დოკუმენტაცია.

აზრი გამოთქვეს: გ. ახვლედიანმა, გ. გუგავამ, ჭ. ჭაბუკიანმა
აღნიშნული დადგენილების პროექტის განხილვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ
კენჭისყრაზე დააყენა საკითხი:
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 21-მა დეპუტატმა
დადგენილება მიღებული იქნა (თან ერთვის)
მომხრე: 20
წინააღმდეგი: 1 /გ. ახვლედიანი/

3. ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 17 ივლისის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/ჭ. ჭაბუკიანი/

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ჭაბუკი ჭაბუკიანმა განმარტა, რომ აღნიშნულ დადგენილებაში ცვლილება გამოიწვია საკრებულოში ყოველთვიურად მორიგი სხდომის გამართვის თარიღის გადანაცვლებამ, კერძოდ მორიგი სხდომა გაიმართება ყოველი თვის ბოლო ოთხშაბათს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი:
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 21-მა დეპუტატმა
დადგენილება მიღებული იქნა (თან ერთვის)
მომხრე: 21
წინააღმდეგი: 0

4. ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 1 თებერვლის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/ჭ. ჭაბუკიანი, კ. მუშკუდიანი/

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კარლო მუშკუდიანმა განარტა, რომ დადგენილებაში ცვლილება ეფუძნება ,,სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონს, რომლის მიხედვითაც განსაზღვრულია საჯარო სამსახურში ყოველწლიური 10%-იანი სახელფასო მატება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი:
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 21-მა დეპუტატმა
დადგენილება მიღებული იქნა (თან ერთვის)
მომხრე: 21
წინააღმდეგი: 0

5. ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხის და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 02 აგვისტოს №27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/ჭ. ჭაბუკიანი, კ. მუშკუდიანი/

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ჭაბუკი ჭაბუკიანმა განმარტა, რომ აღნიშნული ცვლილება ეფუძნება ,,სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონს, რომლის მიხედვითაც განსაზღვრულია, რომ საჯარო სამსახურში ყოველწლიური სახელფასო მატება არ უნდა იყოს 10%-ზე ნაკლები, აღნიშნულიდან გამომდინარე 10% მატებას ექვემდებარება ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საჯარო მოხელეები და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირები.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი:
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 21-მა დეპუტატმა
დადგენილება მიღებული იქნა (თან ერთვის)
მომხრე: 21
წინააღმდეგი: 0

6. „ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხის და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის დამტკიცების შესახებ'' ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 მარტის №28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/ლ. ზალკალიანი, ზ. ხეცურიანი/

მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიულ საკითხთა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსმა იამზე ბურჯალიანმა განმარტა, რომ აღნიშნული ცვლილება ეფუძნება ,,სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონს, რომლის მიხედვითაც განსაზღვრულია, რომ საჯარო სამსახურში ყოველწლიური სახელფასო მატება არ უნდა იყოს 10%-ზე ნაკლები, აღნიშნულიდან გამომდინარე 10% მატებას ექვემდებარება ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს საჯარო მოხელეები და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირები.

ასევე აღნიშნულ დადგენილებაში ცვლილების შეტანის საფუძველია საქართველოს ორგანული კანონი ,,თავდაცვის კოდექსი“, რომლის მიხედვითაც ადგილობრივი თვითმმართველობის ფუნქცია -წვევამდელთა აღრიცხვისა და გაწვევის ორგანიზება გადასცა საქართველოს თავდაცვის სამინისტროში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს. აქედან გამომდინარე ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიაში 2024 წლის 1 იანვრიდან ფუნქციონირებას შეწყვეტს ,,სამხედრო აღრიცხვის, მობილიზაციისა და გაწვევის სამსახური“.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი:
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 21-მა დეპუტატმა
დადგენილება მიღებული იქნა (თან ერთვის)
მომხრე: 21
წინააღმდეგი: 0

7. ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 ნოემბრის №40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/ლ. ზალკალიანი, ზ. ხეცურიანი/

მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიულ საკითხთა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსმა იამზე ბურჯალიანმა განმარტა, რომ აღნიშნულ დადგენილებაში ცვლილების შეტანის საფუძველია საქართველოს ორგანული კანონი ,,თავდაცვის კოდექსი“-ს 57-ე და 67-ე მუხლები, რომლის მიხედვითაც ადგილობრივი თვითმმართველობის ფუნქცია -წვევამდელთა აღრიცხვისა და გაწვევის ორგანიზება გადასცა საქართველოს თავდაცვის სამინისტროში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს. აქედან გამომდინარე ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიაში 2024 წლის 1 იანვრიდან ფუნქციონირებას შეწყვეტს ,,სამხედრო აღრიცხვის, მობილიზაციისა და გაწვევის სამსახური“.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი:
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 21-მა დეპუტატმა
დადგენილება მიღებული იქნა (თან ერთვის)
მომხრე: 21
წინააღმდეგი: 0

8. ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-სამხედრო აღრიცხვის, მობილიზაციისა და გაწვევის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“,ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 მარტის №35 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.

/ლ. ზალკალიანი, ზ. ხეცურიანი/

მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიულ საკითხთა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსმა იამზე ბურჯალიანმა განმარტა, რომ აღნიშნულ დადგენილებაში ცვლილების შეტანის საფუძველია საქართველოს ორგანული კანონი ,,თავდაცვის კოდექსი“-ს 57-ე და 67-ე მუხლები, რომლის მიხედვითაც ადგილობრივი თვითმმართველობის ფუნქცია -წვევამდელთა აღრიცხვისა და გაწვევის ორგანიზება გადასცა საქართველოს თავდაცვის სამინისტროში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს. აქედან გამომდინარე ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიაში 2024 წლის 1 იანვრიდან ფუნქციონირებას შეწყვეტს ,,სამხედრო აღრიცხვის, მობილიზაციისა და გაწვევის სამსახური“.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი:
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 21-მა დეპუტატმა
დადგენილება მიღებული იქნა (თან ერთვის)
მომხრე: 21
წინააღმდეგი: 0

განკარგულებები:

1. ცაგერის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ.

/ლ. ზალკალიანი, მ. ლეთოდიანი/

ინფორმაცია მიღებული იქნა ცნობად.
/განკარგულება თან ერთვის/

2. ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვების შეთანხმებისა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ.

/ლ. ზალკალიანი, ზ .ხეცურიანი/

მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიულ საკითხთა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსმა იამზე ბურჯალიანმა განმარტა, რომ საჯარო დაწესებულებაში დამხმარე ამოცანების შესრულების მიზნით მიღებული შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნება განისაზღვრება ,,საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონით, ამ შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვების წესი აგრეთვე განისაღვრება საქართველოს შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონით და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით. ,,საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის შესაბამისად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობის შეზღუდვიდან გამონაკლისი მუნიციპალიტეტების შემთხვევაში თანხმდება შესაბამისი მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან. აღნიშნული განკარგულების პროექტიც ამ მიზნითაა წარმოდგენილი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი:
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 21-მა დეპუტატმა
განკარგულება მიღებული იქნა (თან ერთვის)
მომხრე: 21
წინააღმდეგი: 0

3. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ცაგერის მუნიციპალიტეტში 2024-2025 წლებში დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ.

/ლ. ზალკალიანი, თ. ბენდელიანი/

მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა სოფიკო გვიშიანმა აღნიშნულ განკარგულებით მოსაწონებლად წარმოადგინა 2024-2025 წლებში განსახორციელებელი პროექტები: სოფელ საირმისა და სოფელ უსახელოს შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია, სოფელ ორბელში ,,ლაშითავი“-ს უბანში რკინა-ბეტონის გზის საფარის მოწყობა, სოფელ აღვში წყალსადენის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები, სოფელ ალპანაში წყალსადენის მოწყობის სამუშაოები, მწვანე თეატრის სარეაბილიტაციო სამუსაოები, ქ. ცაგერში ძველი სასაფლაოს ღობის მოწყობა, სოფელ ჭალისთავსა და ლუხვანოში ხელოვნურსაფარიანი სტადიონის მოწყობა, სოფელ ქვ. ცაგერში ,,კულაში“-ს უბანში და ჩაკვეტაძეების ქუჩის შესახვევში გზის რეაბილიტაცია, მურის ციხის, ლაჯანის და ღვირიშის კლდეების განათება.

აღინიშნა, რომ განკარგულების პროექტის მიღება არ გამოიწვევს ახალი ფინანსური ვალდებულების აღებას, განსახორციელებელ ძირითად პროექტებზე მომზადებულია ტექნიკური დოკუმენტაცია, ამასთან საპროექტო-სახარჯთააღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების თანხები გათვლილია ადგილობრივ ბიუჯეტში.

საკრებულოს წევრებმა მოიწონეს 2024-2025 წლებში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტები, განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სოფელ ალპანაში წყალსადენის მოწყობის სამუშაოებს, რომელის განხორციელებითაც სოფელს მოუწესრიგდება სასმელი წყლის საკითხი. ცაგერის მუნიციპალიტეტის მერმა აღნიშნა, რომ პროექტი არის გარდამავალი, მისი ღირებულება 831 თასი ლარია, პირველ ეტაპზე გაკეთდება სათავე, მდინარე რიონის მარცხენა სანაპიროზე დამონტაჟდება მაგისტრალი და დაერთდება ძველ დაქსელვაზე.

აზრი გამოთქვეს: გ. გუგავამ, ზ. ყურაშვილმა, ჭ. ჭაბუკიანმა
აღნიშნული განკარგულების პროექტის განხილვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ
კენჭისყრაზე დააყენა საკითხი:
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 21-მა დეპუტატმა
განკარგულება მიღებული იქნა (თან ერთვის)
მომხრე: 21
წინააღმდეგი: 0

4. ცაგერის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით ქ. ცაგერის და სოფელ ქვედა ცაგერის მოსახლეობის წყლის გადასახადის სუბსიდირების შესახებ.

/ლ. ზალკალიანი, თ. ბენდელიანი/

ზემოთ აღნიშნულ განკარგულებასთან დაკავშირებით განმარტება გააკეთა მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა სოფიკო გვიშიანმა, აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მერია საკრებულოს წინაშე შემოდის წინადადებით ქ. ცაგერისა და სოფელ ქვედა ცაგერის მოსახლეობის ყოველ გამრიცხველიანებულ აბონენტზე ყოველთვიურად 10 კუბური მეტრი წყლის საფასურის გადახდისგან გათავისუფლების შესახებ. განკარგულების პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტიდან ახალი ფინანსური ვალდებულების აღებას და ასევე ხელშეწყობა იქნება მოსახლეობის სოციალურ-საყოფაცხოვრებო პირობებისთვის.

აზრი გამოთქვეს: გ. გუგავამ, ზ. ყურაშვილმა, ჭ. ჭაბუკიანმა
აღნიშნული განკარგულების პროექტის განხილვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ
კენჭისყრაზე დააყენა საკითხი:
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 21-მა დეპუტატმა
განკარგულება მიღებული იქნა (თან ერთვის)
მომხრე: 21
წინააღმდეგი: 0

5. ცაგერის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით მუნიციპალური ტრანსპორტის ხელშეწყობის მუხლიდან სუბსიდიის გაცემის შესახებ.

/ლ. ზალკალიანი, თ. მეშველიანი/

აღნიშნულ განკარგულებასთან დაკავშირებით განმარტება გააკეთა მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა სოფიკო გვიშიანმა, აღნიშნა, რომ ადგილობრივი სამგზავრო ტრანსპორტის მოძრაობის არსებული მარშუტების ნაწილობრივ დაფინანსებისთვის ცაგერის მუნიციპალიტეტი 2023 წლის 31 დეკემბრამდე მუნიციპალური ტრანსპორტის ხელშეწყობისთვის გამოყოფილი თანხების ხარჯვას აწარმოებდა შ.პ.ს. ,,საჭე-ცაგერი“-ს მიერ წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურების შესაბამისად, ხოლო 2024 წლის ბიუჯეტში სამგზავრო გადაყვანებზე გამოყოფილი 125 000 ლარის განკარგვას მუნიციპალიტეტის მერია მოახდენს დამტკიცებული სამარშუტო სქემის შესაბამისად გამოცხადებულ ტენდერში გამოვლენილ გამარჯვებულ იურიდიულ პირებთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე (წლის განმავლობაში 2-ეტაპად), რითაც მუნიციპალიტეტს შესაძლებლობა ეძლევა ნაწილობრივ დააფინანსოს ადგილობრივი საგზაო სატრანსპორტო გადაზიდვის მარშუტის ღირებულება და მომსახურეობა გაუწიოს სოფლის მოსახლეობას შეღავათიან ფასში. განკარგულების პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტიდან ახალი ფინანსური ვალდებულების აღებას.

აზრი გამოთქვეს: მ. მამარდაშვილმა, მ. ხაბულიანმა, ჭ. ჭაბუკიანმა
აღნიშნული განკარგულების პროექტის განხილვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ
კენჭისყრაზე დააყენა საკითხი:

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 21-მა დეპუტატმა
განკარგულება მიღებული იქნა (თან ერთვის)
მომხრე: 21
წინააღმდეგი: 0

6. ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების - ქ. ცაგერის რუსთაველის ქ. №65-ში მდებარე სამსართულიანი შენობის პირველ სართულზე არსებული 30.00 კვ.მ ფართის პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით (უსასყიდლო უზუფრუქტით) არსებობის ვადით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ,,რაგბის კლუბი ამარანტები" გადაცემის შესახებ ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

/ლ. ზალკალიანი, გ. ხმელიძე/

მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა გიორგი ხმელიძემ აღნიშნული განკარგულების პროექტთან დაკავშირებით განმარტა, რომ ზემოთ მითითებულ უძრავ ქონებაზე არსებულ შენობა-ნაგებობაში განთავსებულია ა(ა)იპ რაგბის კლუბი ,,ამარანტები". დღესდღეობით საჭიროებაა, რომ ის როგორც მოსარგებლე დაფიქსირდეს საჯარო რეესტრის ამონაწერში. გაფორმდება შესაბამისი ,,უსასყიდლო უზუფრუქტი"-ს ხელშეკრულება არსებობის ვადით. ამ მიზნითაა მოთხოვნილი საკრებულოს თანხმობა.

აზრი გამოთქვეს: გ. გუგავამ, ზ. ყურაშვილმა, ჭ. ჭაბუკიანმა
აღნიშნული განკარგულების პროექტის განხილვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ
კენჭისყრაზე დააყენა საკითხი:
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 21-მა დეპუტატმა
განკარგულება მიღებული იქნა (თან ერთვის)
მომხრე: 21
წინააღმდეგი: 0

7. ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის ,,ლეჩხუმი მომავლისათვის" შექმნის ცნობად მიღების შესახებ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 03 დეკემბრის №81 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/ჭ. ჭაბუკიანი, თ. ჭაბუკიანი/

ინფორმაცია მიღებული იქნა ცნობად.
/განკარგულება თან ერთვის/

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სიტყვა ითხოვა ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ლეჩხუმი მომავლისთვის" თავმჯდომარემ გოგიტა ახვლედიანმა, მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის მერიას და საკრებულოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განხორციელებული პროექტებისთვის, აქვე აღნიშნა, რომ გასაკეთებელიც ბევრია, კვლავ შეეხო ცაგერის ნაგავსაყრელთან დაკავშირებული მდგომარეობის მოგვარებას, ასევე ისაუბრა ოყურეში-ზუბის გზის მეწყრული უბნის რეაბილიტაციის აუცილებლობის შესახებ.

აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით ფრაქცია ,,ლეჩხუმი მომავლისთვის" თავმჯდომარეს გოგიტა ახვლედიანს უპასუხა ცაგერის მუნიციპალიტეტის მერმა ლევან ზალკალიანმა, აღნიშნა, რომ ეს საკითხი ნამდვილად მოსაგვარებელია, მაგრამ დაკავშირებულია ქუთაისის ნაგავსაყრელის პროექტის განხორციელებასთან, რომლიც გარკვეულ დროსთან არის დაკავშირებული, გამოთქვა მზადყოფნა იმუშავოს ამ საკითხის რაც შეიძლება მოკლე დროში მოგვარებისათვის. რაც შეეხება ოყურეში-ზუბის გზის მეწყრული უბნის რეაბილიტაციას, ამ საკითხთან დაკავშირებით უკვე დაწყებულია და მიმდინარეობს მუშაობა გზების დეპარტამენტთან.

საკრებულოს თავმჯდომარე: ჭაბუკი ჭაბუკიანი